# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 194

„12" დეკემბერი 2014 წ.

ქ. თბილისი

**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიის" დაფუძნებაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 75-ე მუხლის ,,დ.ბ" ქვეპუნქტის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის 2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიის" დაფუძნებაზე თანხმობის მიღების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2014 წლის 19 ნოემბრის N16.15.196 განკარგულების საფუძველზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპლიტეტის მთავრობას დააფუძნოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია".

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. (მისამართი:ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, N6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი